ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 6-21

"18" მარტი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 24-ემუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 93-ემუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის"მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06.01.2015, სარეგისტრაციო კოდი200130000.35.101.016108) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 პუნქტის„ა"და„ბ"ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა)რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია),მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო),მიწისზედა ელექტროტრასსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და

საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2017 წლის 1 იანვრამდე;

ბ) არარეზიდენტი საწარმოსთვის–საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, მის ბალანზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული (მათ შორის იჯარით, ქირით, უზუფრუქტით, ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების) ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს;"

ბ) დადგენილებას დაემატოს 7^1პუნქტი:

„7^1. მე-2 პუნქტის„ა" ქვეპუნქტით თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდეს 2015 წლის საგადასახადო ვალდებულებებზეც."

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**